

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.07.2020


მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები საქართველოში

2020 წლის ივნისი

ძირითადი შედეგები

- მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით შემცირდა 1.7 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 4.8 პროცენტით;
- სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით შემცირდა 0.01 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით გაიზარდა 14.3 პროცენტით;
- მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 2.4 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით შემცირდა 1.3 პროცენტით.

მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.07.2020

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით 1.7 პროცენტით შემცირდა. სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე ფასები შემცირდა 1.8 პროცენტით, ხოლო საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე 0.7 პროცენტით. გარდა ამისა, ფასების შემცირება დაფიქსირდა დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე (-2.9 პროცენტით).

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი შემცირდა 4.8 პროცენტით. აღსანიშნავია ფასების შემცირება საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე 47.4 პროცენტით. ამასთან, სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე ფასები გაიზარდა 5.1 პროცენტით, ხოლო დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 9.5 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის ივნისში სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2019 წლის ივნისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	95.2	-4.84
49	სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურება და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურება	105.1	4.04
51	საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება	52.6	-9.10
52	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურება	109.5	0.21

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.07.2020

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0.01 პროცენტით შემცირდა. აღსანიშნავია ფასების შემცირება სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე (-0.1 პროცენტი).

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი გაიზარდა 14.3 პროცენტით. ფასების ზრდა დაფიქსირდა უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე (34.7 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა სადენიან სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე (-3.9 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის ივნისში სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2019 წლის ივნისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	114.3	14.27
61.1	სადენიანი სატელეკომუნიკაციო მომსახურება	96.1	-1.82
61.2	უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	134.7	16.65

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.07.2020

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 2.4 პროცენტით. აღსანიშნავია ფასების ზრდა დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურებაზე 4.3 პროცენტით, ხოლო საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურებაზე 1.6 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი შემცირებულია 1.3 პროცენტით. დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურებაზე ფასები შემცირდა 6.9 პროცენტით, ხოლო საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურების ფასები გაიზარდა 2.6 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის ივნისში დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილებები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2019 წლის ივნისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	98.7	-1.27
55	მომსახურება დროებითი განთავსების საშუალებებით	93.1	-3.07
56	მომსახურება საკვების და სასმელების მიწოდებით	102.6	1.80

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული

ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)

ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge